



## ხერთვისის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასპინძის მუნიციპალიტეტი

### ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მიმოხილვა

რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი  
დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ

## ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი „ხერთვისის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა“ ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- ძველი კარიბჭის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია;
- ადმინისტრაციის ოფისის, კაფისა და ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა;
- წყალმომარაგების, ელ მომარაგებისა და საკანლიზაციო სისტემების მოწყობა, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება;
- საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა და ავტო-პარკინგის მოწყობა;
- ხერთვისის ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზისა და ფეხით მოსიარულეთა ბილიკის რეაბილიტაცია;
- ხერთვისის ციხესთან მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, სამხრეთ საქართველოში, თბილისიდან 253 კმ-ის, ხოლო ახალციხიდან 45 კმ-ის დაშორებით. ხერთვისის ციხე (X-XI საუკუნეები) არის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ციხე-სიმაგრე საქართველოში, რომელიც მდებარეობს სოფელ ხერთვისში. ციხე დგას მაღალ გორაკზე მდინარეების მტკვრისა და ფარაჯის შესართავთან. 2007 წლიდან, ხერთვისის ციხე შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ქვე-პროექტი უკვე შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

**ძველი კარიბჭის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია:** ციხის აღმოსავლეთ კარიბჭე წარმოადგენს მთავარ შესასვლელს. ამჟამად, მისი მდგომარეობა მძიმეა და საჭიროებს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას. ამიტომ წარმოდგენილი ქვე-პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია კარიბჭის აღდგენა და ახალი მეტალის კარის დამონტაჟება. საპროექტო მასალების შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული გასული საუკუნის 80-იანი წლებით დათარიღებული არსებული საარქივო მასალები. კარიბჭის რესტავრაციის გამოყენებული იქნება ბაზალტი და კირქვა.

კარიბჭეში ამოსულია გარგარის ხე, რომელიც აზიანებს ციხის გალავანსა და ამავე დროს წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის. შესაბამისად, პროექტი მოითხოვს აღნიშნული ხის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ციხის ტერიტორია რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად, ნებართვა ხის მოჭრაზე უნდა მიიღოს კონტრაქტორმა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან.

**ადმინისტრაციული ოფისის, კაფისა და ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრის მოწყობა:** ციხის ქვედა მხარეს არის ორი არსებული ისტორიული შენობა. ბილიკის ერთ მხარეს არის დანგრეული შენობა, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც კერძო საკუთრება (თუმცა ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სამუშაოების განხორციელებას აღნიშნულ შენობაზე). შენობის მოპირდაპირე მხარეს განთავსებულია ასევე ისტორიული შენობა, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება, ხოლო მოსარგებლეთა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

ამჟამად, შენობა არ ფუნქციონირებს. შენობა მოპირკეთებულია უხეში ზედაპირის მქონე ბაზალტის ქვით და აქვს ბანური ტიპის გადახურვა. საერთო ჯამში შენობის სტრუქტურა არის მძიმე მდგომარეობაში. ქვე-პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული შენობის რეაბილიტაციას (საერთო ფართობი- 186მ<sup>2</sup>, სიმაღლე - 6 მ), შენობის ავთენტურობის შენარჩუნებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტუალეტის, საინფორმაციო ცენტრისა და კაფის მოწყობას.

წარმოდგენილი ქვე-პროექტის თანახმად, დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება: არსებული ხის კარ-ფანჯრის რეაბილიტაციას და საჭიროების შემთხვევაში ახლის დამონტაჟება, სახურავზე არსებული მიწის ფენის მოხსნა და სახურავზე დეკორატიული ბალახის საფარის მოწყობა, არსებული დაზიანებული კიბის რეაბილიტაცია, მისი გადახურვისა და ხის მოაჯირებით აღჭურვა, შენობის შიგნით ხის იატაკის დაგება, ხოლო შენობის მიმდებარედ მოეწყობა დეკორატიული ბალახი (78 მ<sup>2</sup>).

შენობაში განთავსდება ვიზიტორთა ცენტრი (43 მ<sup>2</sup>), სათავსო (23.04მ<sup>2</sup>), კაფე (51.03მ<sup>2</sup> სამზარეულო(11მ<sup>2</sup>) და საპირფარეშო (8 მ<sup>2</sup>). საკანალიზაციო წყლების განტვირთვის მიზნით, კარიბჭესთან გალავნის გარეთ, მოეწყობა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა (წარმადობა 10მ<sup>3</sup>/დ ლ), რომელიც განთავსდება მიწის ქვეშ და უხილავი იქნება

ვიზიტორებისთვის. გაწმენდილი წყალი ჩაიღვრება მდინარე ფარავანში და სრულიად უსაფრთხო იქნება გარემოსთვის.

მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა განთავსდეს გამწმენდი ნაგებობა, რეგისტრირებულია, როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრება.

ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს წყლის მიწოდებისთვის, დაერთდება მოხდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიწებზე, რომელიც ახალციხე-ახალქალაქის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარეობს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ კომპანიას არ აქვს უფლება მიაწოდოს ნედლი წყალი ქლორირების გარეშე, ქვე-პროექტი ითვალისწინებს საქლორატორო შენობის მშენებლობას (საერთო ფართი- 13 მ<sup>2</sup>, სიმაღლე- 3,6 მ), შენობას გარშემო ექნება მეტალის ლოზე და განთავსდება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ. მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილია საქლორატოროსა და წყლის რეზერვუარისთვის ამჟამად არ არის რეგისტრირებული. თუმცა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ არის ფორმალური თუ არაფორმალური კერძო მფლობელობაში ან სარგებლობაში. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დარეგისტრირების პროცესი ასპინძის მუნიციპალიტეტი მიერ.

ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს საინფორმაციო ცენტრისგან ოდნავ მოშორებით და წარმოადგენს დაზიანებულ ისტორიულ შენობას (საერთო ფართი-54 მ<sup>2</sup>, სიმაღლე- 4 მ). ქვე-პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ შენობაში ხერთვისის ციხის ადმინისტრაციული ოფისის განთავსებას. ამგვარად, ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება: ფასადის ქვის წყობის აღდგენა, შენობის სახურავზე ბალახის საფარის მოწყობა, დამონტაჟდება ახალი ხის კარ-ფანჯარა, შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია გასუფთავდება მიწისგან(51 მ<sup>3</sup>) და მოეწყობა ბალახის დეკორატიული გამწვანება. შენობა რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება, ხოლო სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

შენობებისთვის ელექტრო ენერჯის მიწოდება მოხდება ტრანსფორმატორიდან, რომელიც განთავსებულია ციხის შესასვლელთან.

გამომდინარე იქიდან, რომ ხერთვისის ციხე წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, არ არის მიზანშეწონილი გაზომომარაგების სისტემის მოწყობა. ამიტომ, საპროექტო შენობა აღიჭურვება ელექტროენერჯიაზე მომუშავე გათბობის სისტემით.

საზოგადოებრივი ტუალეტისა და პარკინგის სივრცის მოწყობა- ქვე-პროექტი ითვალისწინებს პარკინგის, ავტობუსის გაჩერებისა და საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობას (პარკინგის ფართობი - 505 მ<sup>2</sup>, ავტობუსის გაჩერება- 70 მ<sup>2</sup>, საზოგადოებრივი ტუალეტი- 12,5 მ<sup>2</sup>, გამწვანების არეა- 80,6 მ<sup>2</sup>) ასპინძა-ვარძის საავტომობილო გზის მიმდებარედ, ხერთვისის ციხის სამხრეთ-დასავლეთით. მიწის ნაკვეთი, განკუთვნილი ავტობუსის გაჩერებისა და საზოგადოებრივი ტუალეტისთვის, რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (დანართი #1).

საპროექტო მასალების თანახმად, პარკინგი გათვლილია 2 ავტობუსსა და 5 ავტომანქანაზე. აღნიშული ტერიტორია არის შესაფერისი კარგი მანევრირებისა და ტრანსპორტის გაჩერებისთვის.

პარკინგთან ახლოს განთავსდება საზოგადოებრივი ტუალეტი (ფართი- 12,5 მ<sup>2</sup>, სიმაღლე- 3,5 მ), რომელიც ასევე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვისაც. შენობისთვის განკუთვნილი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა (წარმადობა 1.6 მ<sup>3</sup>/დღე) განთავსდება საპირფარეშოს უკანა მხარეს. გაწმენდილი წყალი ჩაიღვრება მდინარე მტკვარში. გაწმენდილ წყალს არ ექნება არავითარი უარყოფითი გავლენა არ ექნება გარემოზე, რადგან წყლის ტექნიკური მახასიათებლები არ აღემატება 2014 წლის 3 იანვრის # 17 რეზოლუციით დადგენილ ტექნიკური რეგულაციების დასაშვებ ნორმებს. მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილია გამწმენდი ნაგებობის განსათავსებლად, რეგისტრირებულია როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრება.

საზოგადოებრივ ტუალეტს წყალი მიეწოდება ხერთვისის ციხესთან არსებული რეზერვუარიდან, ხოლო წყლის მიწები გაუყვება არსებულ გზას და არ გადაკვეთს კერძო საკუთრებას.

გამომდინარე იქიდან, რომ პარკინგის ტერიტორია და საზოგადოებრივი ტუალეტი მდებარეობს მდინარე მტკვრის გასწვრივ, ქვე-პროექტი ითვალისწინებს გაბიონის (სიგრძე 16მ, სიგანე -1 მ) მოწყობას ყორე ქვით და არსებული ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაციას.

პარკინგის ტერიტორია მოასფალტდება და მოხდება მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ დაიგება ბალახის ფენა (37 მ<sup>2</sup>), მოეწყობა გარე განათება, განთავსდება ხის სკამები (9 ცალი) და დეკორატიული ნაგვის ურნები (5 ცალი) და დაირგვება მარადმწვანე ბუჩქები.

ხერთვისის ციხესთან მისასვლელი გზისა და ბილიკის რეაბილიტაცია-სარეაბილიტაციო გზა იწყება ასპინძა-ვარძის საავტომობილო გზიდან და იყოფა 3 ნაწილად. ქვე-პროექტი ითვალისწინებს გზის I და III მონაკვეთებზე (რომელიც უმეტესად განკუთვნილია საავტომობილო მოძრაობისთვის) მოეწყობა ასფალტ/ბეტონის საფარი, მაშინ როცა მეორე მონაკვეთი, განკუთვნილი ფეხით მოსიარულეებისთვის მოიკირწყლება ბუნებრივი ქვით -ბაზალტით. ხოლო, გზის გასწვრივ დაიგება დეკორატიული ბალახის საფარი.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს გზის გასწვრივ როგორც გარე განათების მოწყობას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ღობეების რეაბილიტაციას ბუნებრივი ბაზალტის ქვით. მოსახლეობისგან ქვე-პროექტის განხორციელებაზე, კერძოდ მათ საკუთრებაში არსებული ღობეების რეაბილიტაციაზე, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ მიღო წერილობითი თანხმობები.

ასპინძის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე ასპინძის მუნიციპალიტეტი იქნება პასუხისმგებელი პარკინგის, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის, საქლორატოროს, წყლის რეზერვუარისა და საზოგადოებრივი ტუალეტის მოვლა-პატრონობაზე. ხოლო, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იქნება პასუხისმგებელი ადმინისტრაციული შენობის, ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს მოვლა-პატრონობაზე.

## გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

### (ა) ზეგავლენის დადგენა

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზეგავლენა გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და სავარაუდოდ მას ექნება გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.</p>
--	---

რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?

მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ვინაიდან ხერთვისის კომპლექსთან მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც გაზრდის მის ტურისტულ მიმზიდველობას. ტურისტების გაზრდილ ნაკადს ექნება დადებითი სოციალური ზეგავლენა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით. ქვე-პროექტის განხორციელება წვლილს შეიტანს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარებაში.

ქვე-პროექტის განხორციელება შექმნის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას, რაც გაზრდის მათ შემოსავალს.

ვინაიდან ქვე-პროექტი ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უშუალო სიახლოვეს, დიდია შემთხვევითი არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის ალბათობა მიწის სამუშაოების დროს. ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს მიწის სამუშაოები და აცნობოს მუნიციპალური განვითარების ფონდს. ფონდი თავს მზრივ აცნობებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მომდევნო ქმედებებზე. სამუშაოს გაგრძელება მოხდება მას შემდეგ, რაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მისცემს კონტრაქტორს ნებართვას.

მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელია, რომ იქნება მოკლევადიანი: სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია რომ გაიზრდება მტვერის და გამონახოლქვის ემისიები სამშენებლო მექანიზმების და ტრანსპორტის ოპერირების გამო, გაიზრდება ხმაურისა და ვიბრაციის დონე ფონურთან შედარებით, მოსალოდნელია სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ასევე, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებები.

ასპინძის მუნიციპალიტეტის წერილის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოშობილი სამშენებლო ნარჩენები და ზედმეტი გრუნტი უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის მიერ მითითებული ორი მიწის ნაკვეთიდან ერთ-ერთზე სოფელ თმოგვში,

	<p>10 კმ-ის დაშორებით საპროექტო ტერიტორიიდან (იხ. დანართი 1). კონტრაქტორი იქნება პასუხისმგებელი შემდეგში ნარჩენებისა და ზედმეტი გრუნტის მოსწორებაზე.</p> <p>სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებამ და მძიმე ტექნიკის ინტენსიურმა მოძრაობამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების შეწუხება.</p> <p>ოპერირების ეტაპზე, უნდა მოხდეს წარმოქმნილი მყარი ნარჩენებისა და საკანალიზაციო წყლების გავლენის სათანადო მართვის გზით გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება. შესაბამისად, ქვე-პროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტუალეტისთვის და კაფესთვის ბიოლოგიური გაწმენდის ნაგებობის დამონტაჟებას და ასევე საპროექტო ტერიტორიაზე ნაგვის ურნების განთავსებას.</p> <p>ტურისტული ნაკადის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმის რისკი და სხვა.</p>
<p>შესაძლოა ქვე პროექტს ქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადგილობრივ თემებზე ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებზე?</p>	<p>პროექტის განხორციელებისას ფიზიკური და ეკონომიკური განსახლება მოსალოდნელი არ არის. ქვე-პროექტი ითვალისწინებს სარეაბილიტაციო გზის მიმდებარედ განთავსებული ადგილობრივი მოსახლეობის ღობეების რეაბილიტაციას ბუნებრივი ქვით- ბაზალტით. ადგილობრივმა მოსახლეობამ წერილობით განაცხადეს თანხმობა ქვე-პროექტის განხორციელებაზე და თავიანთ საკუთრებაში არსებული ღობეების რეაბილიტაციაზე.</p> <p>რაიმე ნეგატიური ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობასა და მათ ეკონომიკურ საარსებო წყაროზე არ არის მოსალოდნელი. ამასთანავე, მიმდებარე არ არიან ქუჩის მოვაჭრეებიც და შესაბამისად მათზე რაიმე ტიპის ზეგავლენა არ იქნება.</p> <p>ქვე-პროექტი ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას, რაც დადებითად იმოქმედებს სოციალურ გარემოზე გაუმჯობესებს რა დასაქმების შესაძლებლობებს და გაიზრდება შემოსავლები, როგორც სამშენებლო სამუშაოების დროს, ასევე მის შემდგომაც.</p> <p>ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც აღწერილია ზემოთ, იქნება მოკლევადიანი და</p>



	<p>შემოფარგლული ქვე-პროექტის განხორციელების ადგილით.</p> <p>სარეაბილიტაციო სამუშაოებს მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენა, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა, ახალი დასახლებების გაჩენა, ინფექციები რისკი მოსალოდნელი არაა.</p>
--	---

**(ბ) შემამსუბუქებელი ზომები**

<p>განხილული იქნა თუა რა პროექტირებისას ქვე-პროექტის ალტერნატივები?</p>	<p>კარიბჭის რეაბილიტაციისთვის პროექტის შემუშავებისას, არსებული საარქივო მასალები, დათარიღებული გასული საუკუნის 80-იანი წლებით, იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული.</p> <p>ტურისტული ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის .</p> <p>პროექტის შემუშავებისას განხილვის საგანი იყო გზისა და ბილიკის რეაბილიტაცია.</p> <p>შემოთავაზებული პირველი ალტერნატივის მიხედვით, საავტომობილო გზა და ფეხით მოსიარულეთა ბილიკი უნდა მოპირკეთდეს ბუნებრივი ქვითა და ადგილობრივი კლდოვანი რელიეფის მქონე ქვით.</p> <p>ხოლო მეორე ალტერნატივის მიხედვით, საავტომობილო გზაზე უნდა დაიგოს ბეტონის საფარი, ხოლო ფეხით მოსიარულეებისთვის განკუთვნილ გზაზე მოიკირწყლება ბუნებრივი ქვით.</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ გზა დაყოფილია 3 მონაკვეთად, საიდანაც ორი მათგანი განკუთვნილია საავტომობილო მოძრაობისთვის და ერთი ფეხით მოსიარულეებისთვის. შეირჩა მეორე ალტერნატივა.</p>
---	---

	<p>ამგვარად, ქვე-პროექტის ფარგლებში, გზის პირველ და მესამე მონაკვეთებზე (რომელიც განკუთვნილია საავტომობილო მოძრაობისთვის) დაიგება ბეტონის საფარი, ხოლო ფეხით მოსიარულეების ბილიკის მოიკირწყლება ბუნებრივი ქვით- ბაზალტით.</p>
<p>რა შემარბილებელი ღონისძიებებია განსაზღვრული?</p>	<p>სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შერბილება ადვილად იქნება შესაძლებელი: სამშენებლო მოედნის დემარკაციით, ტრანსპორტის მართვით, სამშენებლო მექანიზმების კარგი მოვლა-პატრონობით, დადგენილი სამუშაო საათების დაცვით, და ნარჩენების ორგანიზებული გატანით ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილზე.</p> <p>ასპინძის მუნიციპალიტეტის წერილის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოშობილი სამშენებლო ნარჩენები და ზედმეტი გრუნტი უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის მიერ მითითებული ორი მიწის ნაკვეთიდან ერთ-ერთზე სოფელ თმოგვში, 10 კმ-ის დაშორებით საპროექტო ტერიტორიიდან (იხ. დანართი 1). კონტრაქტორი იქნება პასუხისმგებელი შემდეგში ნარჩენებისა და ზედმეტი გრუნტის მოსწორებაზე.</p> <p>მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს სამუშაოები და მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, დაუყონებლივ აწვდის ინფორმაციას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან წერილობითი თანხმობის მიღების შემდგომ.</p> <p>ტურისტული ინფრასტრუქტურულიდან საკანალიზაციო წყლებით მდინარის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მოეწყობა საკანალიზაციო წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა და მოხდება მისი შესაბამისი ექსპლუატაცია.</p>

<p>წინა მსგავსი ქვე-პროექტების განხორციელებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტირებისას?</p>	<p>მსგავსი პროექტების განხორციელებით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, პროექტი ითვალისწინებს არა მარტო ახალი შენობის მშენებლობას, ასევე ვიზიტორებისთვის დასასვენებელი ადგილის მოწყობას, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას და ინდივიდუალური კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟებას. შენობა ადაპტირებული იქნება უნარშეზღუდულ პირებზე.</p>
<p>იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები? ქვე-პროექტის პროექტირებისას სათანადოდ მოხდა თუ არა მათი ინტერესებისა და ცოდნის გათვალისწინება?</p>	<p>ქვე-პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვის დოკუმენტის სამუშაო ვერსია განთავსდა სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. ხოლო, 2017 წლის 3 თებერვალს ჩატარდა დოკუმენტის საჯარო განხილვა სოფელ ხერთვისში რიტუალების დარბაზში. განცხადება საჯარო განხილვის შესახებ განთავსებული იყო სოფელი ხერთვისის ცენტრში საინფორმაციო დაფაზე. გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტს თან ერთვის შეხვედრის ოქმი.</p>

**D) კატეგორიზაცია და დასკვნა**

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია:

A

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია
2. ქვე-პროექტი მიღებულია

რისკების შეფასების საფუძველზე, ქვე-პროექტი საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის
2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით

## სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური ზემოქმედების სკრინინგისათვის		კი	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	1
2	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ხელმისაწვდომობის შეზღუდვას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვარი, წყალი, კომუნალური მომსახურება, საჯარო სივრცე ან სხვა რესურსებზე, რომლებზეც მოსახლეობა არის დამოკიდებული?		
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს თუ არა მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების (მუდმივ ან დროებით საჯარო ან კერძო საკუთრებაში არსებულის) შესყიდვას?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და შინამეურნეობის ინფრასტრუქტურის (როგორცაა დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე საპირფარეშოები, სამზარეულო და ა.შ.) დროებით ან მუდმივ დანაკარგს?		✓
<p>თუ ზემოთ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ (გარდა პირველი კითხვისა) მაშინ უნდა ამოქმედდეს უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს OP/BP 4.12 -ს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
<b>კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია</b>		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	✓	
<p>თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“ , მაშინ გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა <b>OP/BP 4.11 - ფიზიკური კულტურული რესურსები</b> და შემთხვევით აღმოჩენების განკარგვა უნდა განხორციელდეს OP/BP 4.11-ით და გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.</p>			

<sup>1</sup>ხერთვისის ციხე, ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობებთან ერთად, რეგისტრირებულია როგორც სახელმწიფო საკუთრება, ხოლო სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. მიწის ნაკვეთები, განკუთვნილი პარკინგის, საზოგადოებრივი ტუალეტის, ავტობუსის გაჩერების, წყლის რეზერვუარის, საქლორატოროსა და გამწმენდი ნაგებობების განთავსებისთვის, რეგისტრირებულია როგორც მუნიციპალური საკუთრება. წყლისა და კანალიზაციის მიწები მიუყვება არსებულ გზას და არ კვეთს კერძო საკუთრებას.

## გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და

### გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

#### 1. შესავალი

##### 1.1 საფუძველი

საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს მესამე რეგიონული განვითარების პროექტისთვის ფინანსური მხარდაჭერის (60 მლნ \$) თაობაზე. პროექტის საერთო ღირებულებაა 75 მლნ \$, მათ შორის 15 მლნ \$ აფინანსებს საქართველოს მთავრობა. ქვე-პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციაა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის მიზანს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერით. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული კუთხით დაგეგმილი ქმედებები რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობას მოუტანს პირდაპირ სარგებელს: საჯარო ინფრასტრუქტურის საიმედოობის, ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების, კერძო სექტორის ინვესტიციების მოცულობის გაზრდის, განახლებული კულტურული მემკვიდრეობის ადგილებსა და ქალაქებში გაყიდვების რაოდენობის გაზრდის (ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოები) გზით. საერთო ჯამში, მოსალოდნელია მოსახლეობის შემოსავლის ზრდა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ქვე-პროექტი „ხერთვისის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა“ წარმოადგენს რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ნაწილს, რომელიც მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკების შესაბამისად.

##### 1.2 ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მესამე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორცაა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან გარემოსდაცვითი

ღონისძიებების გეგმა, რომელიც მომზადებულია მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსახლების სამოქმედო გეგმა.

„ასპინძის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე ასპინძის მუნიციპალიტეტი იქნება პასუხისმგებელი პარკინგის, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის, საქლორატოროს, წყლის რეზერვუარისა და საზოგადოებრივი ტუალეტის მოვლა-პატრონობაზე. ხოლო, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იქნება პასუხისმგებელი ადმინისტრაციული შენობის, ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს მოვლა-პატრონობაზე.

სამშენებლო კომპანიამ ე/ს „არქიტექსი და არქიტექსი“ განახორციელა ქვე-პროექტი. საქართველოს კანონმდებლობისა და გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად კონტრაქტორმა წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

- ციხის კარიბჭესთან ამოსული გარგარის ხის მოჭრისთვის ნებართვა ასპინძის მუნიციპალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსგან;
- ნებართვა ზედმეტი ინერტული მასის განთავსებაზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოების ნებართვა;
- ბაზალტის ქვის შესყიდვის ზედნადები.

### 1.3 კანონმდებლობა და ნორმები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.12)

აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და რეგიონული განვითარების მეორე პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა B(+) კატეგორიად და საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას.

კარიბჭეში ამოსულია გარგარის ხე, რომელიც აზიანებს ციხის გალავანსა და ამავე დროს წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის. შესაბამისად, პროექტი მოითხოვს აღნიშნული ხის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ციხის ტერიტორია რეგისტრირებულია სახელმწიფო

საკუთრებად, ნებართვა ხის მოჭრაზე უნდა მიიღოს კონტრაქტორმა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან.

## 2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი „ხერთვისის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა“ ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- ძველი კარიბჭის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია;
- ადმინისტრაციის ოფისის, კაფისა და ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა;
- წყალმომარაგების, ელ მომარაგებისა და საკანლიზაციო სისტემების მოწყობა, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება;
- საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა და ავტო-პარკინგის მოწყობა;
- ხერთვისი ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზისა და ფეხით მოსიარულეთა ბილიკის რეაბილიტაცია;
- ხერთვისი ციხესთან მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, სამხრეთ საქართველოში, თბილისიდან 253 კმ-ის, ხოლო ახალციხიდან 45 კმ-ის დაშორებით. ხერთვისის ციხე (X-XI საუკუნეები) არის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ციხე-სიმაგრე საქართველოში, რომელიც მდებარეობს სოფელ ხერთვისში. ციხე დგას მაღალ გორაკზე მდინარეების მტკვრისა და ფარავნის შესართავთან. 2007 წლიდან, ხერთვისის ციხე შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ქვე-პროექტი უკვე შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

**ძველი კარიბჭის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია:** ციხის აღმოსავლეთ კარიბჭე წარმოადგენს მთავარ შესასვლელს. ამჟამად, მისი მდგომარეობა მძიმეა და საჭიროებს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას. ამიტომ წარმოდგენილი ქვე-პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია კარიბჭის აღდგენა და ახალი მეტალის კარის დამონტაჟება. საპროექტო მასალების შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული გასული საუკუნის 80-იანი წლებით დათარიღებული არსებული საარქივო მასალები. კარიბჭის რესტავრაციის გამოყენებული იქნება ბაზალტი და კირქვა.

კარიბჭეში ამოსულია გარგარის ხე, რომელიც აზიანებს ციხის გალავანსა და ამავე დროს წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის. შესაბამისად, პროექტი მოითხოვს აღნიშნული ხის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ციხის ტერიტორია რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად, ნებართვა ხის მოჭრაზე უნდა მიიღოს კონტრაქტორმა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან.

**ადმინისტრაციული ოფისის, კაფისა და ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრის მოწყობა:** ციხის ქვედა მხარეს არის ორი არსებული ისტორიული შენობა. ბილიკის ერთ მხარეს არის დანგრეული შენობა, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც კერძო საკუთრება (თუმცა ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სამუშაოების განხორციელებას აღნიშნულ შენობაზე). შენობის მოპირდაპირე მხარეს განთავსებულია ასევე ისტორიული შენობა, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება,



ხოლო მოსარგებლეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

ამჟამად, შენობა არ ფუნქციონირებს. შენობა მოპირკეთებულია უხეში ზედაპირის მქონე ბაზალტის ქვით და აქვს ბანური ტიპის გადახურვა. საერთო ჯამში შენობის სტრუქტურა არის მძიმე მდგომარეობაში. ქვე-პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული შენობის რეაბილიტაციას (საერთო ფართობი- 186მ<sup>2</sup>, სიმაღლე - 6 მ), შენობის ავთენტურობის შენარჩუნებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტუალეტის, საინფორმაციო ცენტრისა და კაფის მოწყობას.

წარმოდგენილი ქვე-პროექტის თანახმად, დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება: არსებული ხის კარ-ფანჯრის რეაბილიტაციას და საჭიროების შემთხვევაში ახლის დამონტაჟება, სახურავზე არსებული მიწის ფენის მოხსნა და სახურავზე დეკორატიული ბალახის საფარის მოწყობა, არსებული დაზიანებული კიბის რეაბილიტაცია, მისი გადახურვისა და ხის მოაჯირებით აღჭურვა, შენობის შიგნით ხის იატაკის დაგება, ხოლო შენობის მიმდებარედ მოეწყობა დეკორატიული ბალახი (78 მ<sup>2</sup>).

შენობაში განთავსდება ვიზიტორთა ცენტრი (43 მ<sup>2</sup>), სათავსო (23.04მ<sup>2</sup>), კაფე (51.03მ<sup>2</sup> სამზარეულო(11მ<sup>2</sup>) და საპირფარეო (8 მ<sup>2</sup>). საკანალიზაციო წყლების განტვირთვის მიზნით, კარიბჭესთან გალავნის გარეთ, მოეწყობა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა (წარმადობა 10მ<sup>3</sup>/დ ღე), რომელიც განთავსდება მიწის ქვეშ და უხილავი იქნება ვიზიტორებისთვის. გაწმენდილი წყალი ჩაიღვრება მდინარე ფარავანში და სრულიად უსაფრთხო იქნება გარემოსთვის.

მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა განთავსდეს გამწმენდი ნაგებობა, რეგისტრირებულია, როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრება.

ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს წყლის მიწოდებისთვის, დაერთდება მოხდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიწებზე, რომელიც ახალციხე-ახალქალაქის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარეობს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ კომპანიას არ აქვს უფლება მიაწოდოს ნედლი წყალი ქლორირების გარეშე, ქვე-პროექტი ითვალისწინებს საქლორატორო შენობის მშენებლობას (საერთო ფართი- 13 მ<sup>2</sup>, სიმაღლე- 3,6 მ), შენობას გარშემო ექნება მეტალის ღობე და განთავსდება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ. მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილია საქლორატოროსა და წყლის რეზერვუარისთვის ამჟამად არ არის რეგისტრირებული. თუმცა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ არის ფორმალური თუ არაფორმალური კერძო მფლობელობაში ან სარგებლობაში. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დარეგისტრირების პროცესი ასპინძის მუნიციპალიტეტი მიერ.

ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს საინფორმაციო ცენტრისგან ოდნავ მოშორებით და წარმოადგენს დაზიანებულ ისტორიულ შენობას (საერთო ფართი-54 მ<sup>2</sup>, სიმაღლე- 4 მ). ქვე-პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ შენობაში ხერთვისის ციხის ადმინისტრაციული ოფისის განთავსებას. ამგვარად, ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება: ფასადის ქვის წყობის აღდგენა, შენობის სახურავზე ბალახის საფარის მოწყობა, დამონტაჟდება ახალი ხის კარ-ფანჯარა, შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია გასუფთავდება მიწისგან(51 მ<sup>3</sup>) და მოეწყობა ბალახის დეკორატიული გამწვანება. შენობა რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება, ხოლო სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

შენობებისთვის ელექტრო ენერჯიის მიწოდება მოხდება ტრანსფორმატორიდან, რომელიც განთავსებულია ციხის შესასვლელთან.

გამომდინარე იქიდან, რომ ხერთვისის ციხე წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, არ არის მიზანშეწონილი გაზომომარაგების სისტემის მოწყობა.

ამიტომ, საპროექტო შენობა აღიჭურვება ელექტროენერგიაზე მომუშავე გათბობის სისტემით.

**საზოგადოებრივი ტუალეტისა და პარკინგის სივრცის მოწყობა-** ქვე-პროექტი ითვალისწინებს პარკინგის, ავტობუსის გაჩერებისა და საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობას (პარკინგის ფართობი - 505 მ<sup>2</sup>, ავტობუსის გაჩერება- 70 მ<sup>2</sup>, საზოგადოებრივი ტუალეტი- 12,5 მ<sup>2</sup>, გამწვანების არეა- 80,6 მ<sup>2</sup>) ასპინძა-ვარძის საავტომობილო გზის მიმდებარედ, ხერთვისის ციხის სამხრეთ-დასავლეთით. მიწის ნაკვეთი, განკუთვნილი ავტობუსის გაჩერებისა და საზოგადოებრივი ტუალეტისთვის, რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (დანართი #1).

საპროექტო მასალების თანახმად, პარკინგი გათვლილია 2 ავტობუსსა და 5 ავტომანქანაზე. აღნიშული ტერიტორია არის შესაფერისი კარგი მანევრირებისა და ტრანსპორტის გაჩერებისთვის.

პარკინგთან ახლოს განთავსდება საზოგადოებრივი ტუალეტი (ფართი- 12,5 მ<sup>2</sup>, სიმაღლე- 3,5 მ), რომელიც ასევე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვისაც. შენობისთვის განკუთვნილი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა (წარმადობა 1.6 მ<sup>3</sup>/დღე) განთავსდება საპირფარეშოს უკანა მხარეს. გაწმენდილი წყალი ჩაიღვრება მდინარე მტკვარში. გაწმენდილ წყალს არ ექნება არავითარი უარყოფითი გავლენა არ ექნება გარემოზე, რადგან წყლის ტექნიკური მახასიათებლები არ აღემატება 2014 წლის 3 იანვრის # 17 რეზოლუციით დადგენილ ტექნიკური რეგულაციების დასაშვებ ნორმებს. მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილია გამწმენდი ნაგებობის განსათავსებლად, რეგისტრირებულია როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრება.

საზოგადოებრივ ტუალეტს წყალი მიეწოდება ხერთვისის ციხესთან არსებული რეზერვუარიდან, ხოლო წყლის მიწები გაუყვება არსებულ გზას და არ გადაკვეთს კერძო საკუთრებას.

გამომდინარე იქიდან, რომ პარკინგის ტერიტორია და საზოგადოებრივი ტუალეტი მდებარეობს მდინარე მტკვრის გასწვრივ, ქვე-პროექტი ითვალისწინებს გაბიონის (სიგრძე 16მ, სიგანე -1 მ) მოწყობას ყორე ქვით და არსებული ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაციას.

პარკინგის ტერიტორია მოასფალტდება და მოხდება მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ დაიგება ბალახის ფენა (37 მ<sup>2</sup>), მოეწყობა გარე განათება, განთავსდება ხის სკამები (9 ცალი) და დეკორატიული ნაგვის ურნები (5 ცალი) და დაირგვება მარადმწვანე ბუჩქები.

**ხერთვისის ციხესთან მისასვლელი გზისა და ბილიკის რეაბილიტაცია-** სარეაბილიტაციო გზა იწყება ასპინძა-ვარძის საავტომობილო გზიდან და იყოფა 3 ნაწილად. ქვე-პროექტი ითვალისწინებს გზის I და III მონაკვეთებზე (რომელიც უმეტესად განკუთვნილია საავტომობილო მოძრაობისთვის) მოეწყობა ასფალტ/ბეტონის საფარი, მაშინ როცა მეორე მონაკვეთი, განკუთვნილი ფეხით მოსიარულეებისთვის მოიკირწყლება ბუნებრივი ქვით -ბაზალტით. ხოლო, გზის გასწვრივ დაიგება დეკორატიული ბალახის საფარი.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს გზის გასწვრივ როგორც გარე განათების მოწყობას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ღობეების რეაბილიტაციას ბუნებრივი ბაზალტის ქვით. მოსახლეობისგან ქვე-პროექტის განხორციელებაზე, კერძოდ მათ საკუთრებაში არსებული ღობეების რეაბილიტაციაზე, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ მიღო წერილობითი თანხმობები.

„ასპინძის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდის შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე ასპინძის მუნიციპალიტეტი იქნება პასუხისმგებელი პარკინგის, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის, საქლორატორის, წყლის რეზერვუარისა და საზოგადოებრივი ტუალეტის მოვლა-პატრონობაზე. ხოლო, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდის შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იქნება პასუხისმგებელი ადმინისტრაციული შენობის, ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს მოვლა-პატრონობაზე.

### **3. არსებული გარემო**

ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, სამხრეთ საქართველოში, თბილისიდან 253 კმ-ის და ასპინძიდან 15 კმ-ის მანძილზე.

ხერთვისის ციხე (X-XI საუკუნეები) არის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ციხე-სიმაგრე საქართველოში, რომელიც მდებარეობს სოფელ ხერთვისში. ციხე დგას მაღალ გორაკზე მდინარეების მტკვრისა და ფარავნის შესართავთან. 2007 წლიდან, ხერთვისის ციხე შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ქვე-პროექტი უკვე შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ციხე თავდაპირველად აშენდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეში, მაგრამ მთლიანად გაანადგურა ალექსანდრე დიდმა. დღევანდელი სახით ციხესიმაგრე თარიღდება მეთოთხმეტე საუკუნით.

ციხის ტერიტორია მოიცავს ორ ნაწილს: ციტადელსა და გალავანს. ციტადელი დგას ვიწრო კიდეზე, რომელსაც იცავს მაღალი ვერტიკალური კლდე. ციხის კოშკები არის კარგად შენარჩუნებული, გარეთ მდგომი მთავარი კოშკი ნაგებია კარგად დამუშავებული ქვით.

ციხისთვის წყლის მიწოდება ხდებოდა საიდუმლო გვირაბიდან, რომელიც ეკვრის ციხეს ჩრდილო-დასავლეთიდან. პატარა ეკლესია და სხვა ნაგებობების ნანგრევები მდებარეობს ციხის დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთ გალავნიდან ორი გვირაბი მიემართება მდინარისკენ, ერთ-ერთი მათგანი გამოიყენება, როგორც წყლის მიწოდების საშუალება, სხვები კი როგორც კომუნიკაციების საშუალებები.

ციხის არსებული მდგომარეობა აიხსნება მე-12 საუკუნეში მისი აღორძინებით და ქალაქად გარდაქმნით.

საპროექტო არეალის გეოლოგიურ-ინჟინრულმა შესწავლამ აჩვენა, რომ ქვე-პროექტის ტერიტორია და მისი მიმდებარე არეალი სტაბილური და დამაკმაყოფილებელი გეოლოგიურ-ინჟინრული თვალსაზრისით.

რეგიონში საშუალო წლიური ტემპერატურაა 9.0°C, იანვარში საშუალო ტემპერატურაა -2°C, ხოლო აგვისტოში - 20.0°C, ნალექების წლიური რაოდენობა 500-800 მმ.

ლანდშაფტი მოდიფიცირებულია ანთროპოგენური გავლენის გამო, აქ ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

2007 წლიდან, ხერთვისის ციხე შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. შესაბამისად, ტურისტებისა და პილიგრიმების ინტერესი ძეგლის მიმართ დიდია და ამასთანავე, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით დიდი პოტენციალი აქვს. ამჟამად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ არსებობს ისეთი ტიპის ინფრასტრუქტურა ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, როგორცაა საინფორმაციო ცენტრი, კვების ობიექტები, საპირფარეშოები, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას.

ციხის ტერიტორიაზე, განთავსებულია შენობა-ნაგებობები, მათგან ერთი, რომელიც რეგისტრირებულია როგორც კერძო საკუთრება, მთლიანად დანგრეული, მხოლოდ დარჩენილია კედლები (ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სამუშაოების განხორციელებას აღნიშულ შენობაზე). ხოლო დანარჩენი ორი, რეგისტრირებული როგორც სახელმწიფო საკუთრება, არ ფუნქციონერებს ამჟამად და საერთო ფიზიკური მდგომარეობა რთულია.

საავტომობილო გზა და ფეხით მოსიარულებებისთვის განკუთვნილი ბილიკი იწყება ვარძია-ხერთვისი-მირაშხანის საავტომობილო გზიდან. ამჟამად, გზა ძლიერ დაზიანებულია, რაც აფერხებს ნორმალურ და უსაფრთხო სატრანსპორტო მოძრაობას, ამცირებს გზის გამტარიანობასა და ზრდის ემისიების რაოდენობას. ერთი მხრიდან გზა გარშემორტყმულია ციხის კლდოვანი ფერდით, ხოლო მეორე მხრიდან კერძო სახლებითა და ნაკვეთებით. კერძო სახლების ღობეები არის დაზიანებული, შესაბამისად ქვე-პროექტი ითვალისწინებს აღნიშული ღობეების რეაბილიტაციას ბაზალტის ქვით. ღობეების მესაკუთრეებმა უკვე წერილობით განაცხადეს თანხმობა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე.

#### **4. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი**

## 4.1 სამშენებლო ფაზა

### 4.1.1 სოციალური ზეგავლენა

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.
- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.
- **დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:** მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა მშენებლობის ფაზაში და მცირე ოპერირების ფაზაში.
- **ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:** შეზღუდული და დროებითი.
- **სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა:** ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- **უსაფრთხოება და წვდომა:** ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი და არ ემუქრება საფრთხე არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეებს.

### 4.1.2. კულტურულ მემკვიდრეობაზე ფიზიკური ზეგავლენა

ქვე-პროექტით გათვალისწინებულია სამუშაოების განხორციელება უშუალოდ ციხის შიდა ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს: შესასვლელი კარიბჭისა და ციხემდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, ადმინისტრაციული ოფისის, კაფის, პარკინგის, საზოგადოებრივი საპირფარეოს, ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრის, წყალმომარაგების, ელ-მომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობას.

პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა საარქივო მასალები, მათ შორის გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული სარესტავრაციო-აზომვითი ნახაზები. სამშენებლო სამუშაოების დროს ფიზიკურ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია და დაკავშირებულია სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციისას წარმოქმნილ ხმაურთან, მტვერთან, ვიბრაციასთან და გამონაბოლქვთან. ასევე, მაღალია არქეოლოგიური ძეგლების ესთეტიკურ ღირებულებაზე და სტილზე ზეგავლენის რისკი. სავალდებულოა კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების დაწყებამდე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაიცეს შესაბამისი ნებართვა. ასევე, აუცილებელია მშენებლობის დროს სამუშაოების ზედამხედველობა.

ვინაიდან ქვე-პროექტი ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უშუალო სიახლოვეს, დიდია შემთხვევითი არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის

ალბათობა მიწის სამუშაოების დროს. ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს მიწის სამუშაოები და აცნობოს მუნიციპალური განვითარების ფონდს. ფონდი თავს მხრივ აცნობებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მომდევნო ქმედებებზე. სამუშაოს გაგრძელება მოხდება მას შემდეგ, რაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მისცემს კონტრაქტორს ნებართვას.

ოპერირების ფაზაში გაზრდილი ტურისტული ნაკადის გამო მოსალოდნელია არაპირდაპირი ზემოქმედება, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმი.

#### **4.1.3 გარემოზე ზეგავლენა**

##### ***ნიადაგის დაბინძურება***

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- დიზელის საწვავი, ზეთები, სამუხრუჭე სითხე, ანტიფრიზი (დაღვრა/გაჟონვა მანქანა/დანადგარებიდან);
- ცემენტი, ბეტონი და სხვა დამაბინძურებლები;
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები).

##### ***წყლის დაბინძურება***

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი შლამიანი წყლებით;
- სანიაღვრე წყლებში არსებული შლამით;
- მანქანა-დანადგარების გარეცხვისას;
- დაბინძურებული მიწის ან გრუნტის წყლების ზემოქმედებით;
- ზედაპირულ და/ან გრუნტის წყლებზე ქლორის შემცველი ნარჩენი წყლით, რომელიც წარმოიქმნება ახლად დამონტაჟებული წყალმომარაგების სისტემის დეზინფექციის შედეგად.

მოსალოდნელია დაღვრების სწრაფი ჩადინება წყლის ობიექტებში, რის შემდეგაც ძნელი იქნება დაბინძურების ლოკალიზება, და გაიზრდება ქვემო დინებაში უფრო დიდი ფართობის დაბინძურების რისკი. ამიტომ მნიშვნელოვანია ლოკალიზების ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება წყლის დაბინძურების რისკის წარმოქმნის შემთხვევაში.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ გაშიშვლებული გრუნტი წვიმიან ამინდში შეიძლება ჩაირეცხოს სამუშაოების განხორციელების ადგილიდან.

##### ***ჰაერის დაბინძურება და ხმაური***

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს მანქანა-დანადგარების მოძრაობამ/მუშაობამ ქვე-პროექტის ტერიტორიაზე და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებისას. ზემოქმედების წყაროები შეიძლება იყოს:

- მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- გამონაბოლქვი (სატრანსპორტო საშუალებებიდან, ბულდოზერებისაგან, ექსკავატორებისაგან);
- მტვერი;
- მასალების მოწოდების/ტრანსპორტირების შედეგად წარმოქნილი გამონაბოლქვი.

### **სამშენებლო ნარჩენები**

#### *ინერტული სამშენებლო ნარჩენები*

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- არსებული შენობის დაშლისა და საძირკვლის მოწყობის შედეგად წარმოქნილი ინერტული ნარჩენები, როგორცაა ზედმეტი გრუნტი, ქვები, ბეტონი, აგური და ლითონი;
- არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი;
- შესაფუთი მასალები;
- სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები ტურისტული ინფრასტრუქტურის სამუშაოების წარმოებისას;
- ბუნებრივი მასალა (მიწა, კლდე).

#### *სახიფათო სამშენებლო ნარჩენები*

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შედეგად, როგორცაა:

- თხევადი საწვავი;
- ზეთები, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებების, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზეთისა და ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

### **ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა**

შესაძლოა ადგილი იქნეს შემდეგი სახის ზეგავლენებს:

- ხმაურის და ვიბრაციის გაზრდა;
- სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა,

- ჰაერის დაბინძურება გამონახოლოქვით,
- გზების ატალახება;
- ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება.

#### **ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო**

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგებს მისი მოჭრის შედეგად შეიძლება ადგილი ექნეს მისი არასწორის შენახვისა და რეკულტივაციის შედეგად გადარეცხვის გამო.

#### **4.2 ოპერირების ფაზა**

ტურისტული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პოტენციური ზეგავლენა შესაძლებელია იყოს შემდეგი:

- ტურისტების გაზრდილი ნაკადის გამო ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის გაზრდა;
- საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ სატრანსპორტო მოძრაობის გაზრდა, რის გამოც შესაძლოა გაიზარდოს გამონახოლოქვი და ხმაური, ასევე წარმოიქმნას უსაფრთხოების პრობლემა.
- სალოცავებში ვიზიტები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ადგილობრივი ტრადიციებს და / ან რელიგიური მრწამსს;
- ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის არასწორის ოპერირებით წარმოქმნილი საფრთხე.

„ასპინძის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე ასპინძის მუნიციპალიტეტი იქნება პასუხისმგებელი პარკინგის, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის, საქლორატოროს, წყლის რეზერვუარისა და საზოგადოებრივი ტუალეტის მოვლა-პატრონობაზე. ხოლო, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იქნება პასუხისმგებელი ადმინისტრაციული შენობის, ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს მოვლა-პატრონობაზე.

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

#### **5. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა**

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე, მოსალოდნელი ზეგავლენის გათვალისწინებით მომზადდა გარემოზე ზემოქმედების



მართვის გეგმა. გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის კონტრაქტის ნაწილი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელება სავალდებულოა კონტრაქტორისათვის.

კონტრაქტორს მოეთხოვება:

1. სამშენებლო მასალის შეძენა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან.
2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (ვიდრე ეს მასალები შეისყიდოს სხვა მომწოდებლისგან), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს ამუშაოს თავისი ასფალტის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოიპოვოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.
4. თუ კონტრაქტორს სურს აამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს აღწერის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.
5. ასპინძის მუნიციპალიტეტის წერილის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოშობილი სამშენებლო ნარჩენები და ზედმეტი გრუნტი უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის მიერ მითითებული ორი მიწის ნაკვეთიდან ერთ-ერთზე სოფელ თმოგვში, 10 კმ-ის დაშორებით საპროექტო ტერიტორიიდან (იხ. დანართი 1). კონტრაქტორი იქნება პასუხისმგებელი შემდეგში ნარჩენებისა და ზედმეტი გრუნტის მოსწორებაზე.
6. თუ კონტრაქტორს სამუშაოების შედეგად წარმოექმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 125 კგის ოდენობით სახიფათო ნარჩენი წლის განმავლობაში, მომზადებული უნდა იქნეს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს დასამტკიცებლად კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, დანიშნული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი მმართველი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს ინფორმაცია მის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად.
7. ჩამდინარე წყლების გამწმენდი უნდა მოეწყოს ისე, რომ გაწმენდილი წყლის ხარისხი შეესაბამებოდეს „საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებით.

საქართველოს კანონმდებლობისა და გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად კონტრაქტორმა წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

- ციხის კარიბჭესთან ამოსული გარგარის ხის მოჭრისთვის ნებართვა ასპინძის მუნიციპალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსგან;
- ნებართვა ზედმეტი ინერტული მასის განთავსებაზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოების ნებართვა;
- ბაზალტის ქვის შესყიდვის ზედნადები.

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
<b>წინა-სამშენებლო ფაზა</b>			
ზოგადი პირობები	საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობა	<p>კონტრაქტორის მიერ მოპოვებული უნდა იქნეს შემდეგი ნებართვები/ლიცენზიები და მათი ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს მგფ-ში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეთანხმება ნარჩენი გრუნტის განთავსების ადგილზე;</li> <li>- ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია;</li> <li>- ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;</li> <li>- გარემოზე ზემოქმედების ნებართვა იმ სამშენებლო მასალების წარმოებაზე, რომელიც განეკუთვნება ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას;</li> <li>- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელიც შეთანხმებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- შეთანხმება საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე უახლოეს ნაგავსაყრელზე.	
ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილ საქმიანობაზე	მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობა	- კონტრაქტორმა სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა განათავსოს საინფორმაციო ბანერი. ბანერზე განთავსებული უნდა იქნეს ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ მგფ-ში, ზედამხედველ კომპანიასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა მიმართოს გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრის არსებობის შემთხვევაში. ბანერი დამზადებული უნდა იყოს ამინდის	მშენებელი კონტრაქტორი,

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		უარყოფითი პირობებისადმი გამძლე მასალისაგან. ბანერზე წარწერები განთავსებული უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.	
გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების სტრუქტურა	ქართული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა</li> <li>- მუშახელის ტრენინგი ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე</li> <li>- გარემოზე ზემოქმედების შესარბილებლად საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
<b>მშენებლობის ფაზა</b>			
სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის:  - ობიექტის ტერიტორიის მომზადება  - მიწის სამუშაოები	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> <li>- მანქანა-დანადგარები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ არ მოხდეს მუშა-ხელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვით. უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის გამო გამონაბოლქვის გაზრდის თავიდან ასაცილებლად.</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
<p>- შენობა-ნაგებობების მოწყობა</p> <p>- სამშენებლო ტექნიკის ექსპლოატაცია</p> <p>- სატრანსპორტო ოპერაციები</p>		<ul style="list-style-type: none"> <li>- დიზელის ძრავები რეგულარულად უნდა შემოწმდეს და შეკეთდეს ემისიების მინიმუმაციის მიზნით. ყველა მანქანა-დანადგარი ასევე უნდა შეკეთდეს საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოფილი იყო მათი გამართული მუშაობა და პოტენციური ემისიების თავიდან აცილება;</li> <li>- სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა უნდა მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ემისიები (საწვავის შენახვისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული ღია ავზები);</li> <li>- მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული ტრანსპორტით მტვერის წარმოქმნის შემცირების მიზნით. სამშენებლო ტერიტორია უნდა მოირწყას საჭიროებისამებრ; მუშები აღჭურვილი უნდა იქნენ პერსონალური დაცვის საშუალებებით;</li> <li>- დემონტაჟის სამუშაოების დროს ტერიტორია უნდა დატენიანდეს ან დამონტაჟდეს მტვერის შემაკავებლები;</li> </ul>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> <li>- გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან;</li> <li>- მიწის სამუშაოები უნდა შეჩერდეს ძლიერი ქარის დროს;</li> <li>- სამშენებლო მასალები და ყრილები უნდა იქნეს გადახურული;</li> <li>- მოჭრილი/ამოღებული გრუნტი უნდა იქნეს დასაწყობებული შესაბამისად;</li> <li>- აკრძალულია სამშენებლო მასალების ან ნარჩენების დაწვა,</li> <li>- აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის დაუტვირთავი მუშაობა.</li> <li>- ტერიტორიის რეკულტივაცია უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებისთანავე.</li> </ul>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	<ul style="list-style-type: none"> <li>- მასალების გადაზიდვისას ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნეს შეზღუდული დასახლებულ ადგილებში უსაფრთხო დონემდე;</li> <li>- უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების პერიოდული ტექნიკური კონტროლი და შეკეთება საჭიროებისამებრ;</li> <li>- სატრანსპორტო ოპერაციები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში</li> <li>- ტექნიკის უქმი სვლა არ უნდა იყოს ნებადართული. გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი მაცუჩები;</li> <li>- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობა.</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
	ნიადაგის საფარის დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> <li>- სამშენებლო ტერიტორია და მისასვლელი გზები უნდა იქნეს მონიშნული სამუშაოების დაწყებამდე;</li> <li>- სამუშაო ტერიტორიის საზღვრები უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განხორციელების დროს;</li> <li>- სამუშაო უბნებიდან ნიადაგის საფარის მოხსნა (შეძლებისდაგვარად) და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით უნდა მოხდეს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არაუმეტეს 2 მეტრი სიმაღლის გროვებად, რომლის გვერდის დახრილობის კუთხე არ აღემატება 45<sup>0</sup>-ს. ნიადაგის დასაწყობების ადგილის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:</p> <p>დასაწყობების ადგილი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ არ მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩამოშლა, დატკეპუნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად, ასევე დაბინძურება სხვა მასალებით.</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყოფილი უნდა იქნეს გრუნტისაგან (ნიადაგის ქვედა ფენისაგან);</p> <p>ნიადაგის დასაწყობება უნდა მოხდეს ისე, რო არ იყოს წყლით წარეცხვის/დატბორვის საფრთხე;</p> <p>დაუშვებელია ნიადაგის დასაწყობება მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით;</p>	



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>დაუშვებელია ნიადაგის საფარის მოხსნა ძლიერი წვიმის დროს;</p> <p>დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ქვე-პროექტის ტერიტორიის რეკულტივაციისათვის სამუშაოების დასრულებისთანავე. საჭიროებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მიწის საფარის მოსწორება, რეკულტივაცია, და ბუნებრივი მცენარეული საფარის სწრაფად აღდგენის ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს დასაწყობებული ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, როგორცაა ეროზიის საწინააღმდეგო საფარის მოწყობა, ზედაპირის დატკეპნა და/ან დაგრუნტვა. დასაწყობებული ნიადაგი დაცული უნდა იქნეს წყლის ნაკადით ჩარეცხვისაგან ბერმების ან მისი ექვივალენტის მოწყობით გროვების ირგვლივ, საჭიროებისამებრ.</p> <p>- დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ტერიტორიის რეკულტივაციისთვის სამუშაოების დასრულებისთანავე.</p>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>გრუნტის ქვედა ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არა უმეტეს 3 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 60<sup>0</sup>-ს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დასაწყობების ადგილი იმგვარად უნდა იქნეს შერჩეული, რომ არ მოხდეს მისი დატკეპნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად ან დაბინძურება სხვა მასალებით;</li> <li>- გრუნტი გამოყოფილი უნდა იქნეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენისაგან.</li> </ul>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	წყლისა და ნიადაგის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> <li>- პერსონალის უზრუნველყოფა ტუალეტებითა და აბაზანებით და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ცენტრალიზებული ჩაშვება საკანალიზაციო სისტემაში, თუ ეს შესაძლებელია ან დროებითი ნაგებობების მოწყობა</li> <li>- ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა</li> <li>- ტექნიკის საწვავით გამართვა მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილი საწვავმზიდებით, ამასთან სავალდებულოა წყვეთმემკრებების გამოყენება</li> <li>- ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექ. მომსახურება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, სადაც მოხსნილია ნიადაგი და მოწყობილია ხრეშოვანი საფარი, ზეთები, საწვავი და გამხსნელები დასაწყობებული უნდა იქნეს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, საწვავის, ზეთებისა და გამხსნელების დასაწყობება არ უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ადგილის სიახლოვეს;</li> <li>- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო მასალების სათანადოდ დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> <li>- სახიფათო ან ტოქსიკური მასალები დროებით განთავსებული უნდა იქნეს უსაფრთხო კონტეინერებში შესაბამისი წარწერით (შემადგენლობა და მოპყრობის პირობები). სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი);</li> <li>- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაღვრის დაუყოვნებლივ გაწმენდა, დაბინძურებული ნიადაგის/ გრუნტის ტერიტორიიდან გატანა;</li> <li>- არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</li> <li>- სამუშაოების დასრულებისთანავე უნდა მოხდეს ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლო ნარჩენებისგან.</li> </ul>	
	გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით	<ul style="list-style-type: none"> <li>- აკრძალულია ნარჩენების დაწვა;</li> <li>- არ უნდა იქნეს გამოყენებული ტყვია შემცველი საღებავები;</li> <li>- სხვადასხვა სახის ნარჩენები (სახიფათო, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო) უნდა შეგროვდეს სეპარირებულად. ნარჩენების</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>დროებითი განთავსებისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი სპეციალური ადგილი და განხორციელდეს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ინერტული ნარჩენები და ჭარბი გრუნტი უნდა განთავსდეს ვანი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე (იხ. დანართი 8);</li> <li>- სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენები უნდა განთავსდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება მათი შემადგენლობა და მოპყრობის პირობები; აკრძალულია სახიფათო ნარჩენების უკონტროლო განთავსება სამშენებლო ტერიტორიაზე. სახიფათო ნარჩენები უნდა მოთავსდეს გაჟონვისაგან დაცულ კონტეინერში რათა თავიდან იქნას აცილებული დაღვრა და გაჟონვები; სახიფათო ნარჩენების გადაცემა უნდა მოხდეს ასეთი ნარჩენების მართვაზე ლიცენზიის მქონე კომპანიისთვის, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;</li> <li>- ნებისმიერი სახის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენი ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს ხშირად;</li> </ul>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> <li>- ნარჩენების განკარგვის შესახებ უნდა იწარმოებოდეს დოკუმენტაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი სათანადოდ განკარგვის მტკიცებულება.</li> </ul>	
	<p>ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნას შეზღუდული</li> <li>- ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით</li> <li>- ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე უნდა იქნას შეზღუდული</li> </ul>	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>
	<p>მოსახლეობის და პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები</p>	<p>სამშენებლო ადგილი უნდა იქნეს სათანადოდ დაცული და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირებული. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გზის მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების განთავსებას. სამშენებლო ტერიტორია იქნება მკაფიოდ შესამჩნევი,</li> </ul>	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>ბოლო პოტენციური რისკების შესახებ მოხდება საზოგადოების გაფრთხილება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სამშენებლო ადგილები და ყველა თხრილი უნდა იქნეს შემოღობილი და სათანადოდ დაცული უნებართვო შესვლისაგან, განსაკუთრებით ბავშვებისთვის;</li> <li>- უნდა მოეწყოს სათანადო განათება და განთავსდეს უსაფრთხოების ნიშნები;</li> </ul> <p>მოხდება სამუშაო საათების ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობის სქემასთან მორგება, მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნას შეზღუდული</li> <li>- ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით</li> </ul>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით</li> <li>- ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა</li> <li>- მიყენებული ზიანი სრულად უნდა იქნეს ანაზღაურებული კონტრაქტორის მიერ</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
	კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	<ul style="list-style-type: none"> <li>- მოსახლეობასთან შეხვედრა (საჭიროების შემთხვევაში)</li> <li>- საჩივრების მიღება და მათზე რეაგირება;</li> <li>- საჩივრების განმხილველი კომისია უნდა ჩამოყალიბდეს ადგილობრივ დონეზე შემდეგი შემადგენლობით: ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის უფლებამოსილი წარმომადგენლები, სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი.</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები		<ul style="list-style-type: none"> <li>- სამუშაოების დაწყებამდე მუშახელის ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, ზემოხსენებული უზრუნველყოფილი უნდა იქნას</li> </ul>	მშენებელი კომპანია



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მათი მსვლელობისას</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პერსონალის საჭირო პირადი დაცვის საშუალებების (მაგ, ჩაფხუტები, ხელთათმანები, სხვა) მომარაგება და მათი სწორედ გამოყენება</li> <li>- ტექნიკის ექსპლოატაციისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა</li> <li>- გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მაღლი რისკის უბნებზე</li> <li>- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება</li> </ul>	
	<p>ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტერიტორიის დასუფთავება და რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე</li> <li>- სამუშაოების შეჩერება მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური ობიექტის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება აღმოჩენის შესახებ და საქმიანობის განახლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ</li> </ul>	<p>მგფ, მშენებელი კონტრაქტორი</p>
<p><b>ექსპლუატაციის ფაზა</b></p>			

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
<p>ახლად აშენებული ტურისტული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია</p>	<p>გარემოს დაბინძურება მყარი ნარჩენებით და ჩამდინარე წყლებით</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სანაგვე ურნების განთავსება ობიექტის ტერიტორიაზე</li> <li>- მყარი ნარჩენების რეგულარულად გატანა მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე, მმართველ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე</li> <li>- ნარჩენების წვის აკრძალვა</li> <li>- საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.</li> <li>-</li> </ul>	<p>ასპინძის მუნიციპალიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო</p>

## **6. გარემოსდაცვითი მონიტორინგი**

მუნიციპალური განვითარების ფონდი პასუხისმგებელია განხორციელოს გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების მონიტორინგი. საკონსულტაციო კომპანია, რომელიც დაქირავებულია, როგორც სამუშაოების ზედამხედველი, ასევე დაეხმარება მგფ-ს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობა. ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგი განხორციელდება ქვემოთ მოცემული გეგმის შესაბამისად.

გარემოზე ზემოქმედების გეგმის განხორციელების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილი იქნება მგფ-ის ყოველკვარტალურ ანგარიშებში. მგფ ასევე უზრუნველყოფს კონტრაქტორისაგან ყველა ნებართვის, ლიცენზიებისა და შეთანხმების წერილების ასლების მიღებას და შენახვას, რომლებიც კონტრაქტორს მოეთხოვება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინერტული მასალების მოპოვებისათვის, ასფალტის ქარხნის ოპერირებისათვის, სხვადასხვა სახის ნარჩენების განთავსებისათვის.

## **7. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დარღვევის გამოსწორება**

მგფ, როგორც სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი, პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე, რაც ასევე მოიცავს გმგ შესრულებას.

კონტრაქტორი პასუხისმგებელია საქმიანობა განხორციელოს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად. შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება დაფაროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

## **8. განხორციელების ღირებულება**

გარემოსდაცვითი მართვის გეგმით შემოთავაზებული ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ხარჯები მცირეა და შესაბამისად, რთულია მათი გამოცალკევება სამშენებლო ოპერაციების ხარჯებიდან. მიუხედავად ამისა, რეკომენდირებულია, რომ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული შეიცავდეს ნარჩენებისა და დარჩენილი მასალის განკარგვის პუნქტს. გარემოსდაცვით პრინციპებთან შესატყვისობისათვის საჭირო სხვა ხარჯები სავარაუდოდ სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობის ფასებში უნდა იქნას ინტეგრირებული.

## 9. საჩივრების გადაჭრის მექანიზმი

საჩივრების განმხილველი კომისია ჩამოყალიბდება მუნიციპალურ დონეზე შემდეგი შემადგენლობით: ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის უფლებამოსილი წარმომადგენელი, სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში თუ საჩივარი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, მისი გადამისამართება მოხდება სსიპ „ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში“. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდი მოახდენს რეგისტრაციას ყველა საჩივრის, კომენტარის და ასევე, როგორ მოხდა საჩივრის გადაწყვეტა. საჯარო კონსულტაციის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდება განხილულ საკითხთან დაკავშირებით და საკონტაქტო პირის შესახებ.

**8. მონიტორინგი მართვის გეგმა**

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<b>სამშენებლო ფაზა</b>						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიაზე;  ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან საბოლოო განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება არქეოლოგების მიერ პერმანენტული შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ინერტული მასალების წყარო	მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული	მოპოვების ადგილებში	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტა საარსებო პირობების	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრემის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.				დარღვევის შემცირება.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა	სატრასპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიმოსვლის შეზღუდვა	სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.					
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი



საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<b>ოპერირების ფაზა</b>						
მყარი ნარჩენების მართვა	ნაგვის ურნების განთავსება მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე და ნარჩენების დროული და რეგულარული გატანა ტერიტორიიდან	რეაბილიტირებულ ი ობიექტი	შემოწმება	მუზეუმის ფუნქციონირებისას	ქვე-პროექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ნარჩენებით დაბინძურების პრევენცია	ასპინძის მუნიციპალიტეტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
რეაბილიტაციის შემდგომ ობიექტის მოვლა-პატრონობა	არა ნებადართული მშენებლობა და მიწის არაფორმალური გამოყენება ციხის ტერიტორიის მიმდებარედ	რეაბილიტირებულ ი ობიექტი	შემოწმება	მუზეუმის ფუნქციონირებისას	მუზეუმისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და ესთეტიური ღირებულების დაკარგვის პრევენცია	ასპინძის მუნიციპალიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
წყალმომარაგების და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მომსახურება	წყალმომარაგების სისტემა არ ჟონავს და მუშაობს შეუფერხებლად. კანალიზაცია და საკანალიზაციო წყლების	რეაბილიტირებული სისტემები	შემოწმება	მოვლა-პატრონობის პროცესში	საგზაო შემთხვევების და სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება	ასპინძის მუნიციპალიტეტი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობი თ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	გამწმენდი ნაგებობა მუშაობს შეუფერხებლად.					







ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საკადასტრო ინფორმაცია (პარკინგის მიმდებარედ)



საგარეო ტერიტორიის კოდი N 60.09.32-224

ამონაწესი საჯარო რეკლამაჟი

განცხადების რეგისტრაცია: N 88244703426 - 17.01.2017 12:38:31  
 მიმწველის თარიღი: 24.01.2017 14:10:31

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ბუდე	საჯარო საკუთრების განყოფილება
60	09	32	224	საჯარო საკუთრების განყოფილება დაბრუნება/ფართობი 7.9173 კვ.მ საჯარო საკუთრება

მასშტაბი: შიდა და გარე ტერიტორია

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: შიდა N 801176120 - თარიღი 17.01.2017 12:38:31  
 ცხელის რეგისტრაცია: თარიღი 24.01.2017

უფლისაფასოებელი ცენტრი

- შიდა N 801176120, ამონაწესის ანგარიშ N 8012217, ამონაწესის განყოფილება

მესაკუთრე

საბაგრაჟო მფლობელი: შიდა N 801176120, ამონაწესის განყოფილება

მესაკუთრე

საბაგრაჟო მფლობელი: შიდა N 801176120, ამონაწესის განყოფილება

აქტივი

ამოთქმა

საგარეო ტერიტორია

რეგისტრაციის თარიღი

ვალიტების განყოფილება

ვალიტების განყოფილება

რეგისტრაციის თარიღი

ვალიტების განყოფილება

რეგისტრაციის თარიღი

საგარეო ტერიტორიის კოდი: N 60.09.32-224

გვერდი 1/21

საგარეო ტერიტორიის კოდი: N 60.09.32-224  
 ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 88244703426 - 17.01.2017 12:38:31  
 მიმწველის თარიღი: 24.01.2017 14:10:31  
 საგარეო ტერიტორიის კოდი: N 60.09.32-224  
 ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 801176120 - 17.01.2017 12:38:31  
 ცხელის რეგისტრაცია: N 24.01.2017


- საგარეო ტერიტორიის კოდი: N 60.09.32-224, ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 88244703426 - 17.01.2017 12:38:31
- ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 801176120 - 17.01.2017 12:38:31
- ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 801176120 - 17.01.2017 12:38:31
- ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 801176120 - 17.01.2017 12:38:31
- ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 801176120 - 17.01.2017 12:38:31
- ამონაწესის საჯარო რეკლამაჟის განცხადების რეგისტრაცია: N 801176120 - 17.01.2017 12:38:31

საგარეო ტერიტორიის კოდი: N 60.09.32-224

გვერდი 1/21




პარკინგის ტერტორია






სარეაბილიტაციო გზა



ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის, ადმინისტრაციული შენობის, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის, საქლორატოროსა და წყლის რეზერვუარის განთავსების ადგილი





ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის და გაბიონის განთავსების ადგილი და არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშო



სარეაბილიტაციო გზა და ლობეები



სამშენებლო ნარჩენებისა და ინერტული მასალის განთავსების ადგილი, სოფელი თმოგვი, I ალტერნატივა





3 თებერვალი, 2017 წელი

ასპინძის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი (RDP 3)

„ხერთვისის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა“  
ქვე-პროექტის გარემოს დაცვითი მიმოხილვის საჯარო განხილვა

2017 წლის 3 თებერვალს, ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხერთვისის რიტუალების დარბაზში გაიმართა ქვე-პროექტის „ხერთვისის ციხის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა“ გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

**ადგილობრივი მოსახლეობა:** გიორგი თივაძე, გიორგი ქარუმიძე, ლადო ასპანიძე, გიორგი შილოლაშვილი, ჯემალ ვაჭარიძე, იური ზაზავა, ვაჟა ჭიკაიძე, გელა ვაჭარიძე, ივრადი ჯაბანაშვილი, ავთანდილ ქავთარაძე, ჟორა არზიკიანი, მანანა ხმალაძე, ქავთარაძე მაკა, ჭიკაიძე ნანული კახა ზედგინიძე, თ. ნაზლაიძის ალექსი ხოსიაშვილი, სერგო ქარუმიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: ანზორ ალელიშვილი;

შოთა რუსთაველის სახელობის მუზეუმის ხელმძღვანელი: გიორგი ზაზაძე;

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინიკო ისაკაძე- გარემოს დაცვის სპეციალისტი;

ირაკლი ჯაფარიძე- განსახლების სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა ნინიკო ისაკაძემ, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის, შეხვედრის მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან შეხვედრისას განიხილა ქვე-პროექტისათვის მომზადებული



გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების ან შერბილებისთვის. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას და/ან რამე სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ნინიკომ ისაკაძემ ისაუბრა გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს დოკუმენტით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ნინიკო ისაკაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
<p>საიდან მიეწოდება ინფრასტრუქტურას წყალი? მოხდება თუ არა ინფრასტრუქტურის სოფლის წყალმომარაგების სისტემაზე დაერთება?</p>	<p>ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს წყლის მიწოდებისთვის, დაერთდება მოხდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიწებზე, რომელიც ახალციხე-ახალქალაქის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარეობს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ კომპანიას არ აქვს უფლება მიაწოდოს ნედლი წყალი ქლორირების გარეშე, ქვე-პროექტი ითვალისწინებს საქლორატორო შენობის მშენებლობას.</p>
<p>ვინ გაუწევს მოვლა-პატრონობას ხერთვისის ციხის ტერიტორიაზე განთავსებულ ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტებს?</p>	<p>„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იქნება პასუხისმგებელი ადმინისტრაციული შენობის, ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრისა და კაფეს მოვლა-პატრონობაზე.</p>
<p>რა იგულისხმება ხერთვისის ციხის ტერიტორიის კეთილმოწყობაში?</p>	<p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს სარეაბილიტაციო გზის და შენობების მიმდებარედ გამწვანების მოწყობას.</p>

<p>შეიზღუდება თუ არა ქვე-პროექტის განხორციელების შემდეგ მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობის სახლებთან მანქანით მისვლის შესაძლებლობა?</p>	<p>არა, ქვე-პროექტის განხორციელების შემდეგ მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობის სახლებთან მანქანით მისვლის შესაძლებლობა არ შეიზღუდება.</p>
--	---

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმართ და გამოთქვეს სურვილი სარეაბილიტაციო გზის დასაწყისში განთავსდეს ქვის ცვენის მაფრთხილებელი ნიშანი.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცლის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის გარემოს დაცვის უსაფრთხოების სპეციალისტის ნინიკო ისაკაძის მიერ.

6 თებერვალი, 2017

ფოტოები:



დამსწრეთა სია:

რეგაიონული განვითარების მესამე პროექტი  
 ხერთვისის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა  
 ქვე-პროექტის ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

3 თებერვალი, 2017

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი



	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ვინოგრაძე	მ.კ.ი.ს.ს.	591 91 60 62	
2.	გომბერიძე	სეხავისი	591-12-23-30	
3.	ღამთაიძე	სეხავისი	591-41-30-17	
4.	ვინოგრაძე	სეხავისი	555 14 41 66	
5.	ვინოგრაძე	სეხავისი	558-72-96-65	
6.	ვინოგრაძე	მ.კ.ი.ს.ს. გეოგრაფიული ს.ბ. მუხომბე	59509 12 16	

7.	ՈՂԻ ՔՂՀ	Կ. Ե. Լուսինյան	595 22 11 41	
8.	ՔՔՔՔ	Երևան		
9.	ՀԱՅԿ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ	Երևան	598 12 64 04	
10.	ՔՔՔ ՔՔՔ	Երևան	558 65 53 40	
11.	ՈՂԻ ԿՈՄԻՏԵ	Երևան	595 51 99 33	
12.	ՎՅԱԿՈՒԹՅԱՆ ԿՈՄԻՏԵ	Երևան	571 06 54 53	
13.	ՍԽԱՆԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵ	Երևան	593 98 22 33	
14.	ԵՐԵՎԱՆԻ ԲՆԱՎՈՒՄԻ ԵՎ ԿԱՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿՈՄԻՏԵ	Երևան	599 41-20-95	
15.	ԿՈՄՍՈՒՆԻՍՏԱՅԻՆ ԿՈՄԻՏԵ	Երևան	551 95 32-92	
16.	ՀԱՅԿԱՆ ԿՈՄԻՏԵ	Երևան	555 20 76 79	

17.	306. 202000000	202000000	591914455	2020
18.	202000000000	202000000	80514151770	2020
19.	202000000000	202000000	599095874	2020
20.	202000000000	202000000	557676199	2020
21.	202000000000	202000000	551744004	2020
22.	202000000000	202000000	599394022	2020
23.	202000000000	202000000	59316-55-77	2020
24.				
25.				

დანართი 2. კონტრაქტორის ვ/ს „არქიტექსი და არქიტექსის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები

ხერთვისის ციხის კარიბჭესთან მდებარე ხის მოჭრის ნებართვა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსა და ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისგან

	
--	--





კულტურული მემკვიდრეობის  
ბეგლზე სამუშაოების



KA990119871383917

19 / ივლისი / 2017 წ.

სანებართვო მოწმობა №6/12/17

1. ნებართვის მფლობელი

შპს "არქიტექსი", საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) ნომერი №204911202, მისამართი - ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას V კვ. 4 კორპ., ბინა 168.

2. სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ვალიტაციონ ბუჯის 2017 წლის 12 ივლისის N1729-გ (სააგენტოს რეგისტრაციის N381 12.07.2017) წერილი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კრიშენული სააგენტოს ვერცხალური დირექტორის მოვალეობის შესრულების 2017 წლის 19 ივლისის N0437 ბრძანება.

3. სანებართვო ობიექტი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი - ახანის მუნიციპალიტეტი, ხერთვისის ციხე.

4. შესასრულებელი სამუშაო

ახანის მუნიციპალიტეტში, ხერთვისის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ტერისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა).

5. სამუშაოთა შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადა

2017 წლის 25 ოქტომბერი

6. ნებართვის მოქმედება

სანებართვო მოწმობის ვალდებულებები 2018 წლის 1 მაისამდე, საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

7. ნებართვა გაცემულია

საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საფუძველზე.

ვერცხალური დირექტორის მოვალეობის  
შესრულებელი

მამია გაბრინდაშვილი

ნებართვა ნარჩენების განთავსებაზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან



ს ა შ ა რ ო მ ი ა  
ს ა ს პ ი ნ ჯ ა მ უ ნ ი ც ი ა ლ ი ბ ო რ დ ა  
G E O R G I A  
A S P I N D Z A M U N I C I P A L I T Y B O A R D



საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კანონი  
საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კანონი

N 5283/11  
30/12/2016

5283-11-2-201612301123



საქართველოს მუნიციპალური განვითარების  
ფონდის აღმასრულებელი დირექტორს  
შატონ გალაქტიონ შუაძეს

ასპინჯის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის კომპლექსური ტერიტორიული ინფრასტრუქტურის ER-ის და ხერთვისის ციხესთან ტერიტორიული ინფრასტრუქტურის ER-ის მოსაშენებლად გეგმავით შექმნილი სახის ინფორმაციას:

1. ორივე შემთხვევაში კონტრაქტორს სამუშაოების შედეგად წარმოიქმნა ინტერტული და სამშენებლო ნარჩენები შეუძლიათ განათავსონ მათთვის სასურველ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე ს.კ. 60.10.31.019, 60.10.31.020, 60.09.32.012 იმ პირობით, რომ შემდგომში განთავსებული სამშენებლო ნარჩენი ნაკისბლურად მოსწორდეს.
2. ორივე შემთხვევაში ექიმს-ხრემის ლიცენზირებული კარიერა მდებარეობს სოფელ ნიკვორის მიმდებარედ, დამორება სოფელ ხერთვისიდან დაახლოებით 5 კმ, დამორება ფარსიდან დაახლოებით 20 კმ.

ლევან გაბაძე

მუნიციპალიტეტის განვითარების

